ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მერვე

საქართველო უწინარეს ყოვლისა

# თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
სექტემბერი 1933 წელი
№ 68

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»

Rédaction: 18, rue Olier. Paris XVe.

Paris
SEPTEMBRE 1933
№ 68

რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur: M. TSERETHELI

სექტემბერი.

დამთავრდა მეორე ინტერნაციონალის ყრილობა. ყრილობას მდუმარება ჰფლობდა. იქ აღარ იყო ძველებური ენტუზიაზმი. გერმანიის სოციალ-დემოკრატები, დამარცხებულნი იქ, თავიანთ სამშობლოში, აქ მხოლოდ ბოდიშის კილოთი ლაპარაკობენ. იტალიის წარმომადგენელნი, მივიწყებულნი იტალიის ერის მიერ, აქ მხოლოდ სამგლოვიარო იერით ხვდებიან პარტიულ ამხანაგებს. ბალტიის ქვეყნების სოციალისტები მხოლოდ საპოდიუმე წერილებს აგზავნიან, ყრილობაზედ ვერ დასწრებისათვის.

ჩაჰქრა სოციალიზმის ალი... ის სწრაფის ნაბიჯით იფერფლება ყველგან და ფაშიზმის გრიგალის შემობერვაზედ იფანტება მივიწყების სივრცეში.

მეორე ინტერნაციონალის უკანასკნელი ყრილობა, რომელიც უფრო მკვდარ სასაფლაოს წარმოადგენდა, იყო უკანასკნელი და საჯარო გამოფენა სოციალისტურ პარტიათა აღრევისა და განადგურებისა.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

ფაშიზმის გამარჯვებამ ევროპის ორ უდიდეს სახელმწიფოში, იტალიასა და გერმანიაში, სოციალიზმს სასიკვდილო ლახვარი ჩასცა გულში. ამას არც სოციალისტები და არც ფაშიზმის სხვა მტრები ფარავენ. ფაშიზმი ღრმად შეიჭრა თანამედროვე ადამიანის სულში და მთელი მსოფლიო აამოძრავა. მან მოახდინა უდიდესი გარდატეხანი აზროვნების ყოველ სფეროში. ყველი მიმართულებანი, ძალით თუ ნებით მას შეუერთდენ. მის გარეშე დარჩენ მხოლოდ კომუნისტები და აგრეთვე სოციალისტები, ვინც თავიანთი ბუნებით აგრედვე ბოლშევიკები არიან. ყველა ქვეყნები ამის მაგალითებს იძლევიან. როდესაც იტალია კომუნიზმის საფრთხის წინაშე დადგა, ყველა პარტიები, მთელი ერი, მათ შორის მრავალი სოციალისტებიც დადგენ ფაშიზმის დროშის ქვეშ და იტალია დაღუპვისაგან გადაარჩინეს. როდესაც ინგლისში ე. წ. მუშათა მთავრობამ ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა, კონსერვატორების გამარჯვებასთან, აუარებელი სოციალისტები, მათი ბელადებით გადავიდენ ფაშისტურ ორგანიზაციებში და შექმნეს დიდი მოძრაობა. ჰიტლერის გამარჯვება გერმანიაში ხომ საზღაპრო ამბავია, ისტორიისათვის უცნობი.

ასე ხდება საფრანგეთშიც. ვერსალის ზავის შემდეგ რომ ირგვლივ სიწყნარის გაგრძელება ძნელია, ეს ფრანგებს კარგად ესმით. დღეს აქ მრავალ ნაციონალისტურ, ფაშისტურ ორგანიზაციათა გვერდით, თვით საფრანგეთის სოციალისტთა ბანაკშიც მოხდა განხეთქილება. მარკე-რენოდელის ჯგუფმა გარკვეული პროგრამა წარმოადგინა: მოქმედება ნაციონალურ ფარგლებში. ხოლო ბლუმ-ფორის უმრავლესობაში სრული პანიკა სუფევს. პარტიული მასის სიმპატიაც პირველისკენ ვითარდება, აი მშრალი ფაქტები ევროპის ამ ოთხ დიდ სახელმწიფოში არსებული.

გერმანიაში მომხდარმა ეროვნულმა რევოლუციამ, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ გადსწყვიტა სოციალიზმის ბედი. ამაზრისდასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ შემდეგი ანეგდოტური სურათი. მაშინ, როდესაც გერმანიის სოციალ-დემოკრატია ერთ უდიდეს პარტიას წარმოადგენდა მთელ მსოფლიოში, როდესაც მას ხელისუფლება ხელში, ჰქონდა ვერა გააკეთა რა და ახლა მისი ლიდერები, აქ, პარიზში მონპარნასის ტერასაზედ გამომსხდარნი ემუქრებიან ჰიტლერს. მაშინ, როდესაც, იქ, ნიურენბერგში ერთ მილიონამდე გერმანელი შეკრებილა ყრილობაზედ, ზეიმობს ეროვნულ რევოლიუციას და მის მესვეურ ნაციონალ-სოციალისტთა პარტიას ულოცავს გამარჯვების დღეს!

დიდი მაგალითი იყო ნაციონალიზმის გამარჯვება იტალიაში, ხოლო უფრო უნივერსალური გავლენა მოიპოვა მან გერმანიაში გამარჯვებით. დღეს ყველა ქვეყნები, შინაარსით, შეუდგენ თავიანთი ქვეყნების ფაშისტურ რეორგანიზაციას. ამას წინად ავსტრიის კანცლერმა დოლფუსმა, კათოლიკეთა ყრილობაზედ საჯაროდ განაცხადა, რომ ის აუქმებს პარლამენტარიზმს. მალე დაამყარებს ძლიერ ხელისუფლებას და ქვეყნის ეკონომიურ ორგანიზაციას ააგებს კორპორაციების საფუძველზედ. ამგვარად ფაშიზმი ზოგან რევოლიუციის გზით, ზოგან ევოლიუციონურად თითქმის ყველა ქვეყანაშია დღეს შეჭრილი.

ამ მოვლენამ საბოლოო გადარჩევა მოახდინა ყველა პოლიტიკურ მიმართულებათა წიაღში. ყველა ნახევრად ნაციონალისტური და დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც ხშირად ზურგს სოციალისტებს უმაგრებდენ, — ფაშიზმს შეუერთდენ, თვით სოციალისტური პარტიები იშლებიან, ნაწილს ტენდენცია აქვს დაუახლოვდეს ან ძიიდოს ნაციონალიზმის დოქტრინა, მეორე ნაწილი მიილტვის ბოლშევიზმისაკენ. ასე გამოიხატა დღეს სოციალიზმის აზროვნების ევოლიუციის უკანასკნელი საფეხური.

სოციალიზმის ამ სამარცხვინო დამარცხებას ზოგი მეთაური მათ უტვინობას მიაწერს; ეს თავისთავად, მაგრამ ის მარტო ამის შედეგი არ არის, არამედ მოხდა როგორც აუცილებლობა.

ამ გადარჩევათა შედეგია ბოლშევიზმისა და ფაშიზმის დაპირისპირება, როგორც აქტუალურად არსებულ ძალათა გამოხატულების, თვით მეორე ინტერნაციონალის ყრილობის რეზოლიუციებში დადასტურებულია, რომ სოციალისტებს დაავიწყდათ კაპიტალიზმი, სოციალიზმი, დასტოვეს პოზიცია. უკუაგდეს იერიშები და მხოლოდ თავდაცვით ბრძოლასღა აწარმოებენ ფაშიზმის მიმართ, ამ შინაარს შეიცავენ ინტერნაციონალის აღნიშნული რეზოლიუციები.

ჩვენ კი გვწამს, რომ სოციალიზმის უკანასკნელ სანგრებსაც წყალი აქვს შემდგარი და ფაშიზმის ნიაღვარი მასაც მალე წალეკავს...

მიხვდებიან თუ არ ყველა ამას ჩვენი სოციალ-დემოკრატები, თუ თავიანთი მწარე ხვედრით — ჩვენი თაობისა და ისტორიის წინაშე — ასე მძიმე ცოდვებით ჩავლენ საფლავში!

---

« არც არა ჩვენ ვართ ჯაბანნი
არც ციხე უმაგრონია ».

ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთ მარიამობისთვის ღამეში ქართულმა ხმალმა იელვა «და გაანათა ის არემარე». ათეულ წლებით დაგროვილმა ეროვნულმა შურისძიებამ გადალახა სანაპიროები და მქაინვარე ტალღად დაეტაკა იმ დამპყრობს, რომელმაც 1801 წლიდგან მოყოლებული გასაქანი არ მისცა ეროვნულ აღმაფრენას, რომელმაც თითქოს წაახრჩო ეროვნული სული ქართველი ერისა და ზანტად გაიზმორა იბერიისა და კოლხიდის წალკოტში. 1832 წლის დაუკმაყოფილებელმა სურვილმა თითქო 1924 წელს იფეთქა და თავგანწირული ერი უთანასწორო ბრძოლაში ჩაება!

გადატყდა ხმალი და სამი დღის შემდეგ ხელფეხ შეკრულნი რაინდნი განგმირულნი ეყარენ საქართველოს ველებზედ ყვავ ყორნების კერძად! გადატყდა ხმალი და ქართველი ერის მწარე აჰოკვნესას შეუერთდა მტრის ცეცხლი. რომელმაც ნათლად დაანახა ქართველ ერს, რომ მის ეროვნულ აკვანს კიდევ შეუძლიან გამოზარდოს კრწანისის გმირები, დაანახა მტერს, რომ თუ ტაბახმელა-კოჯრის ბრძოლებით არ გათავებულა ბრძოლა საქართველოს დასაპყრობად, არც 1924 წლის აჯანყებით შეჩერდება მისი ეროვნული მაჯის-ცემა! ერმა, რომელმაც არც ერთ ახის ყმენს ქედი არ მოუხარა, ერმა, რომელმაც მხოლოდ ბრძოლითა და მსხვერპლით მოიტანა საქართველოს ისტორია, არც უღალატა წმიდა ანდერძს: « ან სიკვდილი, ან გამარჯვება » ! დაეცენ საუკეთესო შვილები საქართველოის; მაგრამ, იქ, სადაც ისინი წევან, ქართული მიწაა, ქართული სისხლით გაჟღენთილი და ის კიდევ გამოზრდის ისეთ ლომებს, რომელთაც თუ სიცოცხლით არა, სიკვდილით მაინც მოუტანენ საქართველოს გამარჯვებას! — 9 წელი გავიდა მას შემდეგ და ჩვენ მწარე ტკივილებთან ერთად ამ აჯანყების წლის თავზედ მუდამ იმ ეროვნულ სიამაყეს განვიცდით, როგორსაც ძველი ქართველნი თათარ მეფის გამარჯვებულ ლაშქრის რაზრუნებისას! ჩვენმა თაობამ სიკვდილით გაიმარჯვა. თუ ჩვენმა წაქცეულმა გმირებმა სიცოცხლეში ვერ ააფრიალეს გამარჯვების დროშა, მათ სიკვდილით დაუმტკიცეს ერს, რომ ქართულ მუქეს კიდევ ძალუძს საავაძმების გამოზრდა, რომ ქართული იავნანა უფრო ძლიერია, ვიდრე შემოსეულ მტრის ყუმბარა და « ინტერნაციონალი ».

ჩვენ ჯერ გმირები არ მიგვიბარებია მშობელ მიწისათვის, ჩვენ ჯერ კიდევ სისხლი არ მევვ.რობია ჭრილობებზედ, მაგრამ გაივლის დრო და ამ თავგანწირულობას ისე შეაფასებს მომავალი მკვლევარი, როგორც ერთ ერთ უძლიერეს სურვილის გამოხატვას ქართველი ერისას: « ან თავისუფალი სიცოცხლე, ან სასახელო სიკვდილი სამშობლოსათვის »! ერთ ქვეყანდუ რე მეტეხის ციხესთან ხვდიანი დიმილით ჩამოჰკრავს სიმებს და ამღერებს პატარა ქართველს, თუ როგორ იბრძოდენ აგვისტოს ღამეში გააფთრებული ქართველი გმირები, თუ როგორ დაეძებდა ფაფარაყრილი თეთრი მერანი ფარზედ დაცემულ ქართველ მხედარს, თუ როგორ დაეძებდა დაკარგულ გმირის საფლავს შავ თალხებში ქართველი ქალი! გაივლის დრო და მუდამ, როდესაც ეს მწარე იარა მოაგონდება ქართველ ერს, იტყვის, რომ უკვდავია საქართველო, მოკვდავია მხოლოდ მტერი მისი!

გაიფანტება ბრძოლის ბურუსი, და როდესაც ამას ვდარავინ დაგვიშლის, მთელი ერი, ისე ერთად მოიყრის თქვენ დაკარგულ საფლავთან მუხლს, როგორც ერთხელ მის სატახტო ქალაქში, ტაგახმელის დახოცილ გმირებს რომ ეთაყვანა. გაივლის დრო, იპოვის დედა შვილის დაკარგულ საფლავს. ეროვნული დროშა დაიხრება თქვენს საფლავზედ, ქართული, ეკლესიის ზარი ამცნობს კიდით კიდემდე ქართველ ერს თქვენ გმირულ სიკვდილს, თქვენს მკვდრეთით აღდგომას! ა. ბ.

---

## განმარტებანი

### ჩემს ძველ მეგობრებს

III

ჩვენი პოლიტიკური პარტიების ერთ სადემაგოგიო საგანთაგანს კიდევ წარმოადგენს « დემოკრატია ». საგანს, რომელიც თავის შინაარსით დრომოჭმულია და ფორმით გაცვეთილი.

ჩვენ გვისაყვედურებენ: — როგორ გინდათ თქვენ ერის ნების ყოფა გამოხატოთ თქვენს მოქმედებაში, როდესაც ერის, ხალხის უფლებას უარჰყოფთ, არ გწამთ დემოკრატია, თავისუფლება და სხვ..

მართალია, ჩვენ გვინდა ასი პროცენტით ხალხს ვემსახუროთ, ჩვენ გვინდა მმართველობის ისეთი სისტემა შემოვიღოთ, სადაც ყველაზედ მეტად უზრუნველყოფილი იქნება მთელი ერის აზრი და სურვილები, სადაც ყველაზედ ნაკლები ადგილი ექნება კერძო პირთა, ან კლასთა, ან პარტიათა დემაგოგიას, გავლენასა და ბატონობას მთელ მოსახლეობაზედ.

მაშ პრინციპში — გვეტყვიან, — ყველა ერთად ვართო; ჩვენ არ გვგონია, რომ ჩვენი პოლიტიკური პარტიები ამ შემთხვევაში ჩვენთან იყვენ, მაგრამ დავუშვათ, რომ ეს ასეა...

რატომ უარ-ვჰყოფთ ჩვენ დემოკრატიზმს ?

დემოკრატიზმი, როგორც პოლიტიკური მოძღვრება, ძველი ამბავია; თანამედროვე დემოკრატია საუკუნეზედ მეტი ახაკის არის. ჩვენი დროის დემოკრატიამ დაისახა მეტად დიდი და საინტერესო ამოცანები. მას უნდოდა ქვეყნად დაემყარებინა, ძმობა ერთობა და თავისუფლება. გავიდა დრო და მწარე სინამდვილემ, გამოცდილებამ, სულ სხვა დაგვანახა. აღმოჩნდა, რომ დემოკრატიული სისტემის მმართველობამ ერის თუ ხალხის სუვერენიტეტი ყველაზედ მეტად შელახა. თუ აბსოლიუტიზმის დროს ზევითგან დანიშნულ ბიუროკრატ მოხელეთა ძიერ უანგარიშოდ იჩაგრებოდა ხალხი, ახლა დემოკრატიის დროს, იურიდიული თავისუფლებით ისარგებლა ყველამ, ცხოვრების სცენაზედ გამოვიდენ ყოველგვარი ბნელი ძალები და იმავე ხალხის სახელით მათ სისხლსა სწოვენ. დემოკრატიული ქვეყნები უმრავლეს შემთხვევაში გადაქცეულია ვიგინდარათა თარეშის, ყაჩაღობის და მოსახლეობის ცარცვაგლეჯის სარბიელად. ამგვარად დემოკრატიის მაღალი პრინციპი დარჩა ჰაერში ჩამოკიდებული, ხოლო პოეტური სიტყვები: ძმობა, ერთობა, თავისუფლება — რომანტიულ ცნებებად. აქედგან, დაიწყო კრიზისი დემოკრატიის. ის გაკოტრდა ჯერ თეორიულადვე, ხოლო ცხოვრებამ ის დაამტკიცა. დემოკრატიულმა სისტემამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მის მაღალ იდეალს.

რომ აღნიშნულ აზრს ვერ უარ-ჰყოფენ თვით დემოკრატიზმის ქურუმებიც, ამისთვის მკითხველის ყურადღებას ცოტა ხნით შევაჩერებთ ბ. ჟორდანიას უკანასკნელი ბროშურითგან ( « დემოკრატია » ) ამონაწერებზედ. ის სწერს: « თანამედროვე დემოკრატიის კრიზისი უდაო მოვლენაა ( გვ. 5 ) ». « დემოკრატია ვერ ამართლებს მასზედ დამყარებულ გადაჭარბებულ იმედებს. ის ვერ ერევა ვერც ეკონომიურ კრიზისს, ვერც საერთაშორისო აწეწილ ურთიერთობას. არასოდეს არ ყოფილა ხალხთა მოურიგებლობა ისე გამწვავებული, როგორც არის დღეს დემოკრატიის მეფობაში» (გვ. 6). «დემოკრატიის ბატონობა გახდა გაბატონება ეკონომიური ქაოსის და საერთაშორისო არევ-დარევისა» (იქვე). ეს შეფასება ბ. ჟორდანიას ეკუთვნის. დემოკრატიზმის უძლურება ხშირად შეუმჩნეველი არ დარჩა მის მიმდევართათვისაც. ეს არც ძნელი ასახსნელია, რათგან, როგორც აღ

ვნიშნეთ, დემოკრატიული რეჟიმის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვითის აწევას, მიუხედავად მისი ზნეობრივი წონისა. ხოლო «თითები» იმავე დემოკრატიზმის წყალობით მალიან იაფი ღირს, ამიტომ მალაუნგუურად ბურთი და მოედანი რჩება ფულს. ფული დემოკრატიულ ქვეყანაში ყოვლის შემძლებელია. «ძუნწ» კარაპეტამ თავის დროზედ სწორედ შენიშნა: « ფული მოგიკლამს გული; ფული გიცხონამს სული ». ამიტომ ფულით შეიარაღებული ბურჟუა — კაპიტალისტიც თავისუფლად დათარეშობს მოსახლეობაში და მისი სურვილისამებრ ზოგს « უცხონამს » სულს, ზოგს « მოუკლამს » გულს. კაპიტალი ისყიდის ხმებს და ექცევა სათავეში. მთელი პოლიტიკური ასპარეზი მის გავლენის ქვეშვარდება. ის ახდენს გავლენას კანონმდებლობაზედ, მისი სურვილისამებრ ეწყობა აღსრულების ფორმები. კაპიტალისტის ხელშია მთელი პრესა, სკოლა, თეატრი, სინემა და სხვა კულტურული და სპორტიული დაწესებულებანი. ამგვარად კაპიტალისტი ახერხებს ფულის საშუალებით ყველაფერი მოისყიდოს და მთელი ქვეყნის ცხოვრების ორგანიზაცია მის პირად ინტერესებსა და სურვილებს დაუმორჩილოს. ამის შემძლეა ფული.

მაგრამ დემოკრატიულ ქვეყანაში სხვა ფაქტორებიც თამაშობენ დიდ როლს: მოხერხებული პროპაგანდა—აგიტაცია, ქვემძრომლობა, მოტყუება, ნათესაობა, ძმა-ბიჭობა და სხვ. ყველა ჩამოთვლილი მავნებლობანი, რომელნიც პირველ რიგში მიმართულნი არიან სწორედ ხალხის ნების ჩახშვისა, ხალხის სუვერენობის დათრგუნვისა და მათი ყურმოჭრილ მონებად გადაქცევისაკენ, ცხოვრების სინამდვილემ მილიონი მაგალითებით აღნუსხა. ამიტომ გ. ჟორდანია, მართალი ბრძანდება, როდესაც ამბობს: « არასოდეს არ ყოფილა ხალხთა მოურიგლებლობა ისე გამწვავებული, როგორც არის დღეს დემოკრატიის მეფობაშიო ». დიახ, ეს ანგანური ჭეშმარიტება დიდი ხანია დაინახა კულტურულ კაცობრიობამ, ბევრნაირი ოპერაციაც გაუკეთა მას, მაგრამ ის ვითარცა დაავადებული უკურნებელი სენით, სამარეში ჩაეშვა.

დღეს მთელი მოაზროვნე კაცობრიობა იმის ძიებაშია, რომ ძველის უარყოფასთან გამონახოს უკეთესი საშუალებანი ცხოვრების მოწესრიგების და ჩვენც, სამარცხვინოდ იქმნებოდა, ანგარიში არ გავუწიოთ ამ მოვლენას. მით უმეტეს, დემოკრატიის მთელი რიგი მავნებლობანი, ჩვენმა ქვეყანამაც განიცადა. ჩვენში ყველაფერი, რაღაც, გვიან მწიფდება, თუმცა აღმოსავლეთის ცხელი მზე, საწინააღმდეგოს უნდა გვიქადდეს. ყოველი აზრისათვის ჩვენში კარები მაშინ იღება, როცა სხვაგან ძველდება და კარში იდევნება. ასე გვგონებათ ჩაინდობით მოვდის, როცა დაგვიანებულ სტუმარს თავმჯდომარეს ვამლევთ. მაგრამ ამგვარი სტუმართ-მოყვარეობა სასაცილოა და ხშირად მავნებელიც; ამიტომ გადაჭარბებული და უნიადაგო კონსერვატიულობა უნდა მივატოვოთ. ზარბაზნებისა და ჰაეროპლანების ხანაში თავი უნდა დავანებოთ შვილდ ისრით ბრძოლასა და აქლემებით მოგზაურობას, თორემ ჩვენის მოქმედებით დავემსგავსებით იმ რაინდს, რომელიც ქვრივ-ობოლთა და დავრდომილთა განკითხვისათვის ქარის წისქვილებს ემშგოდა.

თეთრი გიორგის გამოსვლა, იყო, დატოვება ამ ჩიხის. მან ადრე აუღო ალღო ჟამთა სვლას. დროზედ შეაფასა მიმდინარე ცხოვრების პოლიტიკური შინაარსი და მისი აზროვნებით ფეხი შედგა იმ აზრთა ზეგანზედ, რომელნიც გამოდიან დღეს ცხოვრების სცენაზედ, მისი მორიგი ხელმძღვანელობისათვის.

აი, რატომ შეებრძოლა სასტიკად თეთრი გიორგი დემოკრატიზმს. ჩვენ უარვყავით ის, არა იმიტომ, რომ თვით ის ცნება, რაც მასში პირველად მის მამამთავრებმა ჩასდეს, არა გვწამს, არამედ იმიტომ, რომ მისი განხორციელების გზები ყალბი აღმოჩნდენ, რომ დემოკრატიული სისტემა მმართველობის არა მარტო ვერ ახერხებს ხალხის ან უმრავლესობის ნებისყოფის გამომჟღავნებას, არამედ ის გადაიქცა ბურჟუაზიის, ყოველ ბნელ ძალთა, პოლიტიკურ პარტიათა, კომბინატორთა და ყაჩაღთა ბატონობის სარბიელად. მართლაც დემოკრატიული რეჟიმის ბუნება ისეთია, რომ ყველა რეჟიმზედ მეტად ხელს უწყობს ის მავნე ძალთა ფარფაშს, გერძოდ მუშათა კლასს და საერთოდ მშრომელ ნაწილს მოსახლეობისას კი არასოდეს იმდენი ჩაგვრა, იმდენი ყვლეფა, იმდენი დამცირება და უბედურება არ გადახდენია თავს, როგორც ეს მოხდა დემოკრატიის დროს. აი, რატომ ვებრძვით დემოკრატიზმს; რატომ უარვჰყოფთ მას.

გვწამს რა იდეალად შექმნა ისეთი მმართველობის სისტემის, რომელიც მაქსიმალურ შესაძლებლობას მოგვცემს ერის ნებისყოფის გამოჟღავნების, პიროვნების და მოქალაქის აუცილებელ ზნეობრივ და ნივთიერ უფლებათა დაცვის, ეროვნულ - შემოქმედებითი ნიჭისა და გენიის გამოაშკარავების და ქვეყნის კულტურული და ნივთიერი აღორძინებისა, თეთრი გიორგი უარჰყოფს დემოკრატიზმის საყოველთაო საარჩევნო უფლებას და აღიარებს რეალური და კორპორატიული წარმომადგენლობის სისტემას, ამომრჩეველთა წინაშე პასუხის-მგებლობით, და ამგვარად შექმნილი პარლამენტი იქმნება ნამდვილი გამომხატველი ერის საერთო ნებისყოფისა და დამცველი ქვეყნის უზენაეს უფლებათა.

ანდრო დოლიძე.

## ქართველი ერის შინაური მტერი

უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ი ა მ ო ც ა ნ ა. ყოველ ერს უწვნევია დამარცხება და უსვამს დამცირების მწარე ფიალა. ქართველი ერიც, ამ შემთხვევაში, გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ერი მარადიული ძალაა. იგი ბრძოლის შეჩერების მეორე დღითგანვე მოქმედობს საკუთარი ღირსების აღსადგენად. მტრის სიძულვილი ხდება მისი სულიერი განწყობილების ყოველდღიურ საგნად, და ამავე დროს, იწმინდება იმ ნაკლთაგან, რომელთაც ხელი შეუწყეს დამარცხებას. ამ ნაკლთა აღმოფხვრა არც ისე ადვილი საქმეა; ისინი, ასე ვსთქვათ, დაკანონებულნი არიან ერის დამარცხებულ მდგომარეობის ყველა შედეგებით. მათთან საჭიროა ბრძოლა ენერგიული და შეუვრალებელი.

ერის სულიერი ნაკლულევანება კონკრეტულ სახეობას იღებს სხვა-და-სხვანაირ დემაგოგების მოქმედებასა და სიტყვებში. ეს — შინაური მტერია. გარეშე მტერმა იცის, რომ მიუხედავად ერთი გამარჯვებისა, ბრძოლა არ დამთავრებულა და ცდილობს სადეზორგანიზაციო სული გაზარდოს დაპყრობილ ერში. მაგრამ მისი მოქმედების უნარი, ყოველ შემთხვევაში, შემოფარგლულია. იგი ადვილი დასანახია და მთელი ერის თვალსაჩინო ერის საღი ნაწილისათვის, რომლის აქტიურობაზეა დამოკიდებული სარევანში ბრძოლის მიცემა. შინაური მტერი კი დამალულია თვით ერის ნაღვიძში. მისი ამოცნობა, ხშირად, ტკივილებს იწვევს ერის სხეულში და ამიტომ მისი მოქმედების ასპარეზიც განუსაზღვრელი ხდება.

რაც უფრო ძლიერია მტერი, — ტკივილები არაფერს ნიშნავს, მთავარია მისი განთავისუფლება, რისთვისაც ერის სულიერი მთლიანობისა და ფიზიკურ-დისციპლინალური ძალის აღმოჩენა საჭიროა, პირველ რიგში საშინაო მტრის ნიშანში ამოღებითა და განადგურებით. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ერის ნამდვილ მეხვეურთა მიერ საერთო საქმის ხელში დაკავება.

ვინ არის ქართველი ერის შინაური მტერი?

ს ო ც ი ა ლ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პ ა რ ტ ი ა.

უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის საქართველოს, სოციალ-დემოკრატიული წარსული ახასიათებს. ამ წარსულის წყალობით ქართული აზროვნება უხომოდ დამორდა ქართულ სინამდვილეს. ეს უკანასკნელი დაინგრა. შეიქმნა ახალი სინამდვილე, ერის გამანადგურებელი. ამ სინამდვილეს ახალი ქირურგიული ოპერაცია სჭირია, უფრო ენერგიული წამლობა. მიუხედავად ამისა, ის ქმნებამები, რომელთაც უკვე გვიჩვენეს თავიანთი ბოროტი ისტატობა, დღესაც არ დამცხრალან ქართველი ერის მოსატყუებლად. აი, ესენი, ე. ი. სოციალ დემოკრატიული პარტია და მისი სატელიტები, არიან ქართველი ერის შინაური მტრები.

საქართველოს ერთი კატასტროფა არ ეყო: სუვერენობის დაკარგვა. მას მეორე დაემატა: მისი სუვერენობის მითვისება სოციალ დემოკრატიული პარტიის მიერ.

დამარცხებულ ერმა თავისი სუვერენობა დაჰკარგა. ეს ბუნებრივია. საოცარია მხოლოდ ის, რომ მისი მთავრობისა და პარლამენტის მინიატურები უცვლელად დარჩენ. ეს რომ ერის ტერიტორიაზედვე იყოს, ერი ჯერ კიდევ დამარცხებულად არ ჩაითვლებოდა. უცხო ტერიტორიას შენიშნულ მთავრობასა და « პარტიათა ცენტრს » რითიმე უნდა გამართლებინათ თავიანთი არსებობა. მაგრამ რა დარჩა მათი ათი-ოთხმეტი წლის არსებობის შემდეგ, თუ არა მათივე უბადრუკი და ნაგვიანევი ჩივილი საფრანგეთის მთავრობის წინაშე: ოფიციალურად გაგვართვით! ჩვენ, კიდევ შეგვეძლო მიგვეთითებინა მათი არსებობის მიზნებზედ, მაგრამ განა ღირს?

დავანებოთ თავი ამ « უტილიტარულ » ძსჯელობას. ვკითხოთ, როგორ უცქერის ერთი-მეორეს ხალხი, მთავრობისა და « პარტიათა ცენტრის » სხდომებზედ. ალბად, რომელ ავსურეგივით იც ნიან. გარედ თვალსაჩინოება მათ მაინც არ მოკლებიათ და საინტერესოა ის, რასაც ისინი ჰქადაგებენ თავიანთ თვალებ-ახვეულ, ჭკუითა და რიცხვით განსაზღვრულ მრევლში. თურმე მთავრობამ და ცენტრმა საკუთარი ტერიტორია იმიტომ დასტოვა, რომ დამარცხდა ხალხი. ასე-სწერდა « საერთო ფრონტის » ერთ-ერთი მეპაიონარტრე. არა მთავრობა, არა პარლამენტი. მთავრობა და პარლამენტი ხალხის მიერ იყვნენ ამორჩეულნიო.

სწორედ ამას ჰქვია საკითხის ცინიკური გადაწყვეტა. ხალხი, პარლამენტი და მთავრობა, დღეს ყველაზედ უხინოდისო დემოკრატსაც არ შეუძლია ერთი - მეორეში არიოს. ხალხი იმისათვის არსებობს, რომ აირჩიოს ( და არა ამოირჩიოს ), მანდატი მისცეს იმას, ვინც ამ მანდატს ყველაზედ უფრო კეთილსინდისიერად თხოულობს. ამის გამო ხალხს არ ეკისრება მანდატის მქონეთა პასუხისმგებლობა მის წინაშე.

ხალხი არა ცდებაო.

ჰკითხეთ თვით ხალხს და ის გეტყვით. გერმანიის დემოკრატიამ აშკარად აღიარა თავისი წარსული შეცდომები და მათი გამოსწორებაც მოახერხა. დემაგოგიური დემოკრატიზმი ამგვარ მოვლენათა გამო ხშირად ჩავარდნილა სასოწარკვეთილებაში. ხალხი არც ისე უვიცია, როგორც ჰგონიათ ნ. ჟორდანიასა და მის პარტიას, რომელთაც თავიანთ სიცოცხლეში ვერაფერი უსწავლიათ და მაინც გაიძახიან: ჩვენზედ ბრძენი ვინ სად არისო?

ვის ჰსურს ქართველი ხალხის დამარცხების დაკანონება? რასაკვირველია იმას, ვისაც საკუთარ პასუხისმგებლობის აცილება უნდა თავითგან. დემოკრატიულ პარტიებს სწორედ ასეთი ცინიზმი ახასიათებთ და ამის გამო ხალხი მათ წინააღმდეგ შეიარაღებული ამხედრებით თუ იმარჯვებს.

სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ხელში ჩაიგდო. მან საქართველოს დაამადლა 26 მაისის მზის ამოყვანა; ვერც ამ საქურუმო პოზიციამ გასწმინდა იგი თანდაყოლილ ცოდვებისაგან. ერის მთლიანობას ჰმლიდა 26 მაისამდე და მის შემდეგაც. მძიმე დანაშაული მიუძღვის მას ქართულ სახელმწიფოს ისტორიის წინაშე: ქართული სამხედრო ძალის დარღვევა, საქართველოს იზოლიაცია მისი მეორე ინტერნაციონალთან მიკერებით, ეროვნულ-ინტელექტუალური ძალების განყენება საქმიანობისაგან და ერის მორალური დაქუცმაცება; კიდევ უფრო მეტი: ყველა ამ დანაშაულებათა ურცხვი რეციდივი, თებერვლის მწარე გაკვეთილების შემდეგაც კი.

სამი ეკალი.

( გაგრძელება იქნება )

## ციხვი

„ კარგად ვიცი რა ოქროს ძირიცა გაქვს “-ო, ეუბნებოდა ციცხვი მკვეხარა ქოთანსა. მე, ბატონებო, მენშევიკების ციცხვი გახლავართ. ძირამდე ჩავწვდომივარ და ამომირევია მენშევიზმის ქოთანი. ამიტომ კარგად ვიცი რა ოქროს ძირიცა აქვს მასა და რა შეჭამანდიც იხარშება შიგა. ამიტომ ჟორდანია — მორდანიებს ჩემთან კვეხნა-ტრაბახი და მამლა-ყინწაობა ვერ გაუვათ, ვერა! ბ-ნი კ. გვარჯალაძისამებრ წარა-მარა ქალალდის ბღაჯვნა და აბდა-უბდა ყბედობა არ მიყვარს. სულ დასაბუთებით შემიძლია ვამხილო მათი ცრუ-პენტელობა და მხაკვრობანი. რაკიდა ერთხელ ხელი მივყავ მენშევიკებს, აღარ დავცხრები, სანამ მათ ბოროტებათა და ცრუობა-მასხარაობას ქართველ საზოგადოებას [illegible] ვითა, წინ არ გადმოუღლაგებ. საჭიროა ეს, ბატონებო, საჭირო, რათგან მენშევიკების ბოროტებანი ჩვენმა ახალგაზრდობამ საკმარისად არ იცის. იმიტომ რომ მომსწრე არაა. ევროპაში მყოფ, ქართველ ხანში შესულ მოღვაწეებს შეუძლიათ ყოველივე სინამდვილე, მენშევიკების შესახებ, ახალგაზრდობას გააცნონ. ეს მათ მოვალეობასაც შეადგენს. მაგრამ, საუბედუროდ, მათ უმეტესობას, ბ-მა ჟორდანიამ „ ხლატოებით “ ამოუვსო პირი. ნათქვამია: « ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს»-ო და ჩვენ წინაპართ ესეც უბრძანებიათ: „ სამართალს წარღვნა ვერ წალეკავს და ერთი ოქრო კი ხშირად ხმას ჩაუკმინდავს “-ო. მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველთა შორის მოიპოებიან პირნი, რომლებზედაც ვერც ჟორდანიას ტყუილები სჭრიან და ვერც მისი ოქროები. ამ პირთა მოვალეობაა ქართველობას გააცნონ, თუ რა იყო და ან რას წარმოადგენდა პარტია, რომელიც საქართველოს მართავდა და რომელსაც კიდევა სურს მომავალი საქართველოს საპეთმპყრობლობა.

დიახ, და ამ მიზნით აქ მოგითხრობთ მენშევიკებზედ ზოგი ერთ რამეს, რომელიც ნათელ ჰყოფს თუ რა ყალიბის ხალხია და რა თაღლითები არიან ეს სამშობლოთგან და ღვთისაგან გადამდგარნი.

ფაშისტური გერმანიის ვეზირმა, გერინგმა, რომს რომ წავიდა ჰაერში - მფრინავით, რომელსაც თვით მართავდა, ალპების მთებზედ გადაჰქროლ გადმოქროლა საშინელ ქარიშხალში და თოვლის ნამქერში. ფაშისტური იტალიის ვეზირმა ბ-ნმა ბალბომ 24 წყალ-ჰაერში მფრინავით ალპები და ოკეანე გადალახ-გადმოლახა. ვკითხულობ ამ უცნაურ ამბებსა, რომელნიც „ადე-ხანჯალოს“ ზღაპარს მომაგონებენ, რომელსაც ძალუა ჩემი, ლიზალო, მიამბობდა ხოლმე, ჩემი ბავშობის დროსა, და გული ჯავრით მისივდება. რამდენიმე წლის წინედ, ჩვენი ქვეყანაც თავისუფალი იყო...ჩვენც გვყავდენ მმართველნი და ნაზირ-ვეზირნი... მაგრამ ჩვენი მმართველნი, ფაშისტურ მმართველებს არა ჰგავდენ. რას იზამ? იმ დალოცვილ ზეციურ მეუფეს ადამიანის სხეული ისე შეუქმნია, რომ შიგ დიდი სულიც ეტევა და პატარაცა. მაგონდება თფილისი, 1919 წელია. ალლუმია. სამხედრო ტაძრის ეზოში ათასეულები ჩამწკრივებულან. ჩვენ საცოდავ ჯარის კაცებს ბ-ხი გეგეჭკორის მიერ შეთითხნილი ყვითელი ფარაჯები აცვიათ. ყოველ შნოს მოკლებულია ეს ტლანქი და ულაზათო სამოსელი. მიუხედავად ამისა ჩვენს ჯარის კაცებს მაინც მოხდენილი იერი აქვსთ: სულ ტალიკ-ტალიკი ბიჭები არიან. ნათქვამია: „ალმასი ლაფშიცა ბრწყინავს“-ო. ალლუმს უცხოელებიც მრავალი დაესწრო: მხედარნი თუ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. — „ სამხედრო მინისტრი მობრძანდება“— გაისმა ხმა. — და ყველამ თვალი ალაყაფის კარებს მიაპყრო. მეც გავიხედე და თქვენ მტერს რაც ვიხილე. ელდა მეცა! ქართველ ლაშქრის ვეზირი ბ-ნი გ. გიორგაძე შვენიერ მერანზედ შებრძანებულა. მაგრამ ისე ზის უნაგირზედა, როგორც, ხომ გინახავთ, ძაღლი რომ შერჩება ხოლმე ღობეზედა და ვეღარც გადმოხტომას ახერხებს და ზედაც ველარა მაგრდება. მაგრამ ეს არაფერი. საქმე მისი გარეგნობაა: ტანთ ჩაუცვამს რუსული ხალათი, თავზედ კი ქართული დაბალი გალიბარდა ფაფახი ხურავს. რაღაც უცნაური და სასაცილო სანახავია: არც რუსია არც ქართველი. მაგრამ უნდა სიმართლე ითქვას, მისი გარეგნული მოკაზმულობა ნამდვილი ხორც შესხმული სურათი იყო მენშევიკის სულიერი შინაარსისა: რუს-ქართველა. სირცხვილით დავიწვი. ისე დავილიე, რომ თხილის ნაჭუჭში ჩავეტევი. უცხოელებისა მრცხვენია და!!

ბ-ნ გიორგაძეს ფეხები ქუსლებამდე უზანგებში წაუდგამს ცალი ხელით ცხენის ფაფარს ჩაბღაუჭებია, რათგან ცხენმა, საკრავების ხმაზედ, ცოტა შეიკუნტრუშ-შეიტლიკინა. ვეზირმა სადავე მარცხნით მოსწია; სურდა უცხოელებისათვის სალამი მიეცა, მერე ჯარის წინ ჩაევლო და ალლუმი ემიღო. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ცხენი აინუნშიც არ ჩაიგდო. ხომ მოგეხსენებათ, ბედაურმა ცუდი მხედარის აბუჩად აგდება იცის ხოლმე. ჰქმნა მარჯვნივ პირი და ჩვენი ვეზირი ნახშირის ტომარასავით მეორე კედრით წაიღო. ნათქვამია: „ ცხენი გულთმისანია “-ო. ალბად მიხვდა, ის დალოცვილი პირუტყვი, რომ მისი უცნაური მხედარი, რომელიც უფრო ყველიერის ყეენსა ჰგავდა ვიდრე სახელოვანი ქართველი ჯარის ვეზირსა, უცხოელების წინაშე რაიმე სამარცხვინოს ჩაიდენდა და ჯარსაც რაიმე სისულელეს ეტყოდა. მიხვდა და ამ ეროვნული სირცხვილის და დამცირების თავითგან ასაცილებლად, ბ-ნი ვეზირი, უცხოელთა თვალს მოარიდა. ბარაქალა ცხენო, ბარაქალა! ჩვენ მმართველებს შენოდენა ეროვნული თავმოყვარეობა და გონება მაინც რომა ჰქონოდათ შესაძლებელია, დღეს, საქართველო ამ გენიის ცეცხლში არ იწვოდეს!

როგორ მოხდა ასეთი უცნაური ამბავი, რომ ქართველ ლაშქრის ისეთი ჩანჩურა ვეზირი გამოუჩნდა, რომ ცხენზედ ჯდომაც კი არ იცოდა? განა ბ-ნი გიორგაძე მოდგმით ქართველი არ იყო? და მაშასადამე ჩამომავალი გ. სააკაძისა, დიდი ლევან დადიანისა, სოლომონ დიდისა და სხვა სახელოვან გმირთა? ჩამომავალი იმ ქართველთა, რომელთა ცხენოსნობა მსოფლიოში იყო განთქმული და რომელთა ჯირით-ყაბახობას გარდა თეიმურაზ მეფისა, უცხოელნიც აღტაცებით აღწერენ? მაგრამ საქმე იმაშია, რომ„ ერთი ხითგან ჯვარიც გამოითლება და ნიჩაბიცა. “ ზემოდ აღნიშნულნი წინაპარნი ეროვნულ ცხოვრების წიაღში იყვენ აღზრდილნი; მათი სული და სხეული გამოჭედილი იყო სამშობლოსათვის ბრძოლის ქარ-ცეცხლში; რომ იგინი სიამაყით იცავდენ მამა-პაპათა ჩვეულებას და ზნეს. მართალია, რომ გიორგაძე-ჟორდანია-ჩხენკელ-გვარჯალაძეებიც ქართული ხითგან არიან გამოთლილი, მაგრამ

არა ქართველთა ხელითა, არამედ რუსი პლეხანოვ-მარტოვ-ლენინების მიერ, რომლებმაც ეს გადაგვარებულნი თავისი სახის და სულიერების ყალიბზედ გამოსთალ-გააშალაშინეს. მათი გონების და სულის მასაზრდოებელი წყარო სამშობლო კი არ ყოფილა, არამედ რუსის „დემოკრატია“ — ე. ი. რუსის ლაჩარი და ბინძური ბრბო, რუსის მყრალი მუჟიკები და რუსეთის გონება და ზნეობა სნეული გონებრივი საზოგადოება. ამიტომ თუ იმავე ქართული ხითგან გამოითალენ სამშობლოსათვის თავდადებულნი რაინდნი, სააკაძეები, ბეჟანბუკ ათაბაგები, ილი ჭავჭავაძეები და გიორგი დეკანოზიშვილები, გამოითალენ ნიჩბებიც, რუსების მურდალი სულით და რუსეთის ტალახის საზელად. „დედა — ნახე მამა ნახე შვილი ისე გამონახე“-ო; „როგორიც ოსტატი ისეთიც ნახელოვანი“-ო; „როგორიც სარდალი ისეთი ლაშქარიო“-ო. ესენი სულ ქართული ანდაზებია, ბატონებო.

ამისთანა უილაჯო და უქნარი ხალხი ან ჯარს, როგორ მოაწყობდა ან სახელმწიფოსა და როგორ შესძლებდა ქვეყნის დაცვასა?! ცარიელი ქადაგები იყვენ და ყბედობის მეტი ხელითგან საქმე არ გამოსდიოდათ და არც დღეს გამოსდით. ნამდვილი მომქმედი და შემომქმედი ძალა მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზედ წარმოიშვება ხოლმე.

ხშირად მოგახსენეთ: ადამიანის სხეულში დიდი სულიც ეტევა და პატარაცა მეთქი. მართალიც გახლავსთ. მენშევიკ ბ-ნ ა. ჩხენკელს ისე რა ღმერთი გაუწყრება, რომ ორი ბალბოს ტოლა არ აიწონოს, მაგრამ ფაშისტი ბალბო ალპების წვერვალოებს და ოკეანეს არწივივით დაჰფრინავს თავსა და მენშევიკი ჩხენკელი კი ყველა ვიგინდარას წინაშე მუხლზედა ხოხავს. ეს იმიტომ, რომ ბალბოს დიადი ეროვნული სული უდგია და ბ. ჩხენკელს კი დიდ სხეულში მარქსიზმის მდაბალი და წვრიმალი სული.

მანშევიკური პარტია დაიშალა. ჭია-ყელასავით სამად გაიყო. ბობოლა უფროსებმა პარტიული ფარა გაიყვ-გაინაწილეს. ანტონა ჟორჟოლიანი, კოცია გვარჯალაძე, ხარიტონა მუქთახორაშვილი, კუკუნია ჩხირკედელაძე, გ. ურატაძე, მენაღარაშვილი და სხვები ნოვემ წაასხა. რაჟდენა არსენიძე, კვაჭი კვაჭანტირაძე, ნარიმანა ბოცვაძე, ჩუჩუ ლომიყლაპია, ბზიკა კოვზიპარიაშვილი, ჭიჭუნია ნაცარქექიაძე და სხვები კაკიმ მოითვისა; აკაკი ჩხენკელი, ხუხუნიკა ყრონტი, ილიანე კოკაია, ღვიტიკელა სკვინტლიანი, ვლასა ცნევგრძელაძე, ბიჭუნია ჩხირკედელაშვილი და სხვანი ევგენიამ გაირეკა წინა.

დარჩა ჩვენი ნოვე იაქესავით მარტო. დღეს მისი მთელი დამაყრდომელი ძალა ასათიან-გვაზავებილა არიან. ხოლო რა მკვიდრი და სანდო ძალაა ის პირნი, რომელთ, «სადაც ჭერი მაღალია მეც იმისი მაყარივარ»-ო, სახელმძღვანელო დებულებად გაუხდიათ, ეს ყველამ უწყის. ამისთანა პირთა ერთგულობას ჩირის ფასი არა აქვს. სანამ ბ-ნ ჟორდანიას ჯიბეში ორიოდე გროში უჩხავის იგინიც მასთან იქნებიან და მის ჭიანურზედ დაუვლიან ბუქნასა. მაგრამ შემოაკლდება თუ არა საფანელი თხუნელასავით ისე გაქრებიან რომა, საცოდავმა ნოემ მათ კვალსაც ვეღარ მიაგნოს.

მენშევიკების დანგრევის მიზეზი უპირველესად ისაა, რომ როგორც რუსთაველმა ბრძანა: «უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა მით ოხერია». განა იერუსალიმის ტალახითგან შეზელილი ხუხულა დიდხანს გაუძლებდა ცხოვრების სინამდვილესა? სოციალ-დემოკრატია ჩვენშიც, და სხვაგანაც ყველგან, დაინგრა და განიავდა. «ქარის მოტანილი ქარმავე წაიღო.“

თუ მკითხველის ნებაც იქნება მენშევიკების დანგრევის მეორე მიზეზსა ერთ ამბავის მოთხრობით განვმარტავ. ჩვენ სოფელში ერთი აზნაურიშვილი სცხოვრობდა. მეტ სახელად ლუაანთ ვანოს ვეძახდით. მე რომ წამოვიზარდე ის 70-75 წლის მოხუცი იქნებოდა. ლუაანთ ვანო ერთი უსაქმური ვინმე იყო. თითს თითზედ არ წააკარებდა. თავის დაფხანა ეზარებოდა. ჩოხის კალთაზედ ცეცხლი რომ წაჰკიდებოდა ზედ წყალს არ გადაასხამდა. ამოეჩარა იღლიაში ერთი გრძელი იფნის ჯოხი და ცისმარია დღე რუების ნაპირებზედ დაყერყეტებდა. მივიდოდა ფეხ აკრეფით რუს ნაპირასა, წაეპარებოდა ჩირგვ-ნარიანსა და ჯოხით დაუწყებდა ხოლმე ქექვასა. არ იკითხავთ, ახლა, ბატონებო, თუ რას ეძებდა ჩირგვების ძირში ის საცოდავი? რასა და ნატვრის თვალსა. ჯერ კიდევ მისი ახალგაზრდობის დროსა ერთ მკითხავს დაერწმუნებია, რომ ქვეყანაზედ ერთი ჭრელი გველია, შიგ შუბლში ნატვრის თვალი აქვს დაყოლილიო. მთელი დუნიის ხალხ-ჯამაათი რომ შეჯერდეს იმ ნატვრის თვალს შენს მეტი ხელთ ვერავინ იგდებსო. მკითხავი იმის მკითხავია, რომ ადამიანის ბედის ვარსკვლავზედ მისი მომავალი ამოიკითხოს. ესაა მისი ხელობა და დანიშნულება და აბა იმასაც თუ არ დაუჯერა კაცმა მაშ ვიღას უნდა დაუჯეროს? ჩვენი ლუაანთ ვანოც ხომ ძე-ხორციელი იყო და მანაც, რასაკვირველია, მკითხავს დაუჯერა. „ან მამული რაღად მინდა ან მაზედ ჭაპნის წყვეტაო თუ კი ნატვრის თვალს ვიშოვნი“-ო — იფიქრა, სამართლიანად, ლუაანთ ვანომ და იმ დღითგან თავის დროს ჭრელი გველის ძებნაში ატარებდა: დაწანწალებდა დილის ცისკრითგან ღამის ბინდამდე და ეძებდა იმ ადამიანის წამწყმედ ქვეშძრომელსა. მისი ნაფუზვრები და ზვარები კი ოხრდებოდენ; სახლ-კარმიდამო, ბეღელ-კარაპანი, საბძელ-ჯინები ნელ-ნელა ინგრეოდენ. მთელი 50 წლის განმავლობაში ემება ნატვრის თვალი ლუაანთ ვანომა. გაღატაკდა. ჩოხა ახალუხი და პაიჭ-ქალამი ისე შემოეგლიჯა რომა, ბაბა-ჯანას ჩუსტებივით, ნახვრეტებად იქცა. ერთი საცოდავი სანახავი ღა იყო. მის მშვენიერ დედულ-მამულს კი სხვები დაეპატრონენ. ბოლოს დამშეულმა და ქანც გამოცლილმა, ნატვრის თვლის ძებნაში, ფეხები გაფშიკა. ერთ მშვენიერ დილას, როცა ქართლის ბრწყინვალი მზე დავითის ციხეს, ლიახვ-მეჯუდის ხეობებს და ტირიფონის ველს ოქროთი ფერავდა, საცოდავი ლუაანთ ვანოს გვამი, ჩვენმა სოფლის გზირმა, ყიყვიანმა თევამ, ერთი დამშრალი რუს ნაპირას იპოვნა.

ეს ამბავი მოხდა ჩვენ პატარა სოფელში, სადაც სოფლის მკითხავმა ერთი უვიცი აზნაური გაასულელა. მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ამავე ბუნების ამბავს ალაგი ჰქონდა მსოფლიო ასპარეზზედ და ბუმბერაზულ ფარგლებში. ერთმა, ქანაანთა ქვეყანითგან, ევროპაში გადმოხვეწილმა მკითხავმა, ვინმე ბანჯგვლიანმა მარქსმა, კაცობრიობას ლუაანთ ვანოს მკითხავზედ უფრო უცნაური რამე უწინასწარმეტყველა: მალე მოვა დრო, რომელს ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებს, როდესაც ადამიანი ყოველი მხრივ და სამუდამოდ უზრუნველ ყოფილი და ბედნიერი იქნებაო. მხოლოდ ამ მოვლენის დასაჩქარებლად საჭიროა, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა აიღოს ცულხელეჩო და რაც აქამდე ადამიანის უნარს და გონებას შეუქმნია და უშენებია ყოველივე მიალეწ-მოალეწოს, მიანგრ-მოანგრიოსო და ვინც ჩემი თანახმა არ გახდება ყველა ამოჟლიტოსო, როგორც ისრაელის ღმერთმა აბრაამ-ისააკის ჩამომავალთა მტერნი ჟლიტაო.

ქვეყანაზედ, ბატონებო, ბედნიერი ადამიანების გვერდით ქკუა-მოკლე და ცეტ-ტუტრუცანაც მრავალია. ესე გაუჩენია ქვეყანა დალოცვილ ღმერთსა და რას იზამ? „ყოველივე ღვთის განგებაა“-ო. დიახ, და სულელებმა დაიჯერეს ამ დიდი მკითხავის წინასწარმეტყველობა. მათაც ლუაანთ ვანოსავებრ იმსჯელეს: „რათგან ქვეყანაზედ აუცილებლად სრული ბედნიერება დამყარდება, აბა, ქონება და მაშასადამე კერძო საკუთრება რაღა თავში სახლელია“-ო. მართლაცა და თუ კი ისეთი დრო დადგება, რომ საკმარისი იქნება კაცმა პირი დააღოს რათა შიგ ნაზუქ- ფალუსტაკი და შემწვარი ხოხობი ჩაუვარდეს, საკუთრება რაღა მეცხრამეტე გოჭია? ეკლესია და სარწმუნოება რაღა საჭიროაო, ლოცვასა და ჯვარზედ მთხვევას რაღა მიზანი აქვსო — ამბობდენ მარქსისტები — თუ კი სამოთხე თვითონ მოვა ამ ქვეყანათაო. მართლაც ესე მოიქცენ. ხალხსაც ესეები შთააგონეს. უსაქმოთა და მუქთა ხორათა მთელი რაზმები შეჰქმეს და დაუწყეს ლოდინი მასრქსის სამოთხესა. ეს უსაქმო ხალხი თუ კი ხელს გაანძრევდა მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმე მოწინააღმდეგე მაუზერით მოეკლა. მაგრამ ამას ხომ დიდი შრომა არა სჭირია, არც ლუაანთ ვანოსეებრ რუებზედ წანწალი არარაობის საძებნელადა. წელიწადი წელიწადს მისდევდა. აღთქმული სამოთხე კი არსადა სჩანდა და მის ცდაში და მის ძებნაში, როგორც ლუაანთ ვანო დამშრალი რუს ნაპირას საუკუნოთ გაიშოთა, აგრეთვე მარქსიზმს ამოხდა სული დაშრეტილ ოცნებათა და იმედთა მდინარის ნაპირებზედ. ამნაირად საუკუნოდ წაბრძანდა, მსოფლიო სოციალ-დემოკრატია და ჩვენი მენშევიზმი წიაღსა შინა აბრაამისასა. მომავალი დამოუკიდებელი საქართველო დიდის ზეიმით გადაიხდის მის ქელეხსა და ყოველი ქართველი სიხარულით შეექცევა შილაფლავსა და კორკოტსა, რათგან ხევსურების მიერაა ნათქვამი: „ქვეყნისა მტრისა საფლავზედ ლხინი ვაჟკაცთა წესია“-ო.

სოლომონ მაჭავარიანი.

---

წერილი რედაქციის მიმართ.

ბერლინი, 25 აგვისტო 1933 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო,

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ სტრიქონებს:

თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მე ვითვლებოდი ჯერ რუსეთის და შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრად. 1922 წ., ოქტომბერში, კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადმოასახლა გერმანიაში ბევრ სხვა თანამემამულეებთან ერთად, როგორც სოციალ დემოკრატი (მენშევიკი).

უცხო მხარეს ახალმა შთაბეჭდილებებმა თავითგანვე დიდი გავლენა მოახდინეს ჩემ პოლიტიკურ შეხედულებაზედ. უთუოდ, მე არ გამომყვა უცხოეთში გადმოსახლებულ თუ გამოქცეულ ჩემ თანამემამულე პარტიულ ამხანაგებივით ძველის სამოთგან თითქმის დრო და სივრცეს გარეშე მოცემული ურყევი ჭეშმარიტება საზოგადოებრივი ურთი-ერთობის სხვა-და-სხვა საკითხებზედ! ყველას ხომ ვერ დააჯილდოვებს ღმერთი ასეთი დიდი ნიჭით, რომელიც არ საჭიროებს ხოლმე ცხოვრების დაკვირვებას და გამოცდილებას, არც ცოდნას, და აპრიორულად იმუშავებს სააწდამარადისო მსოფლ მხედველობას!! ჩემი შეხედულებანი სოციალურ, ეკონომიურ თუ პოლიტიკურ საკითხებზედ ევროპის მაგალითებმა, პირიქით, მალიან შეარყიეს. კერძოდ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ «მუშათა» პარტიასთან ჩემ დამოკიდებულებაში და მისი მოღვაწეობის წარსულისა და აწმყოს დაფასებაში,— რაც ჩემთვის უფრო საინტერესოა, ამ მაგალითებმა იქამდე მიმიყვანეს, რომ არ შემიძლია აშკარად არ აღვნიშნო, რომ ამ პარტიის მოვლინება საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სარბიელზედ არა თუ საქართველოსათვის შეუფერებელი იყო, არამედ მისი განვითარებისათვისაც მეტად საბედისწერო.

ჩემი ამდენი ხანი პარტიაში ყოფნა და ჩემი მოქარბებული ჰასაკი, —სამწუხაროდ კაი ხანია რაც ახალგაზრდობას გადავსცილდი, მიმზეიდენ ამის თქმას. მერწმუნეთ, რომ დანგრევა და განიავება იმისა, რაც ამდენი ხანი სახოებით გიტარებიათ ადვილი საქმე არ არის. მაგრამ ნიღაბის ტარებას ანგაარების მიზნით აწმყოში ან მომავალში, როგორც ეს ჩემი ღრმა რწმენით არა ერთსა და ორს მოხდის, ამგვარი ნაბიჯი გარჩიე. ნიღაბის ტარება ჩემს ბუნებას არ ეგუება.

ჩემში ასეთი პოლიტიკური გარდატეხა არ არის რაიმე დღენიმე თვის საქმე, როგორც ეს შეიძლება ვინმეს ეგონოს. პირიქით, ის ბევრი წლების შინაგანი სულიერი გარდაქმნის ნაყოფია. ეს იციან ჩემმა დღემდის პარტიულმა ამხანაგებმა როგორც ბერლინში, ისე პარიზშიც. ამ გარდატეხას ჯერ კიდევ მეტეხის ციხეში მიეცა დასაწყისი, მხოლოდ მას იქ იდეოლოგიური ახიათი აკლდა. იმ ჟამად კომუნისტურ ხელისუფლებას დამწყვდეული ჰყავდა მეტეხში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული «მუშათა» პარტიის თითქმის ყველა საუკეთესო წარმომადგენელნი, რომელნიც ხულ ახლო წარსულში რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს ბედს განაგებდენ. თითო ოროლას გამოკლებით პარტიის ეს წარმომადგენლობა არარაობას წარმოადგენდა. ეს მოვლენა მეტად მიკვირდა და ჩემს თავს ვეკითხებოდი, თუ რა ისტორიულმა ბედმა არგუნა საქართველოს ამ გონებით ბეჩავი და უბადრუკი ხალხისაგან მოვლა და პატრონობა! სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელნი ემიგრაციაშიც ჰყავდა, მაგრამ პარტიის ვერც ამ შტაბმა დასტოვა ჩემზედ უკეთესი შთაბეჭდილება.

მაგრამ რომ საქართველოს უბედურება, გარდა მმართველობის სიბეჩავის, მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიის თვით ბუნებითგანაც გამომდინარეობდა, იმ ხანებში ამას ჯერ კიდევ არ ვიყავი მიმხვდარი. ამ რიგად სამშობლოს დაკარგვაში ვსდებდი ბრალს პარტიის შემადგენლობას და არა თვით პარტიას. მე კიდევ მჯეროდა, რომ საქართველო მოკლე ხანში კვლავ დაიბრუნებდა დამოუკიდებლობას და მომავალში უკეთეს, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის გამოსადეგ სოციალ დემოკრატიულ ახალ თაობას გამოზრდიდა.

ასე ვინუგეშებდი თავს ამ სანაზაობით დაღონებული. სოციალ-დემოკრატიის მოძღვრებასა და საქართველოს სინამდვილეს შორის წინააღმდეგობას მაშინ კიდევ ვერ ვხედავდი

იდეოლოგიური ხასიათი გარდატეხას მიეცა ადგილი ევროპაში, კერძოდ გერმანიაში, ამ უმაღლესი ინდუსტრიის და მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიის (კლასთა ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის) კლასიკურ ქვეყანაში. ჩემთვის აქაურ პირობების დანახვის პირველ ხანშივე უნდა ყოფილიყო ნათელი, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ «მუშათა» პარტიის აღმოცენებას ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების გზაზედ, საქართველოს მაშინდელ სოციალურ და ეკონომიურ სტრუქტურასთან არაფერი საერთო არ ჰქონია, ხოლო ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათათვის უსათუოდ მომაკვდინებელი ყოფილა! მაგრამ ასეთი დასკვნების გაკეთება მომიხდა აქ ხანგრძლივი ცხოვრებისა და დაკვირვების შემდეგ. პარტიულ ფანატიზმს მხოლოდ როდი მიეწერება ეს ნელი პროცესი ჩემი პოლიტიკური გარდატეხის; ეს შედეგია აგრეთვე იმ გარემოების, რომ მე დიდი ხნის განმავლობაში აკადემიურ მუშაობას ვეწეოდი, და ჩემი პოლიტიკურ კონცეპციაში დაწყებულ ცვლილებას მეტად კრიტიკულად ვუყურებდი. ეს ცვლილებები ზერელე შთაბეჭდილებათა ნაყოფად მიმაჩნდა, რომელთაც ჯერ კიდევ სწორი ანალიზი ესაჭიროებოდა. უკანასკნელი კი ჩემგან დროს მოითხოვდა, რაც მაშინ ჩემს განკარგულებაში არ იყო. ჩემდა საუბედუროდ კაი ხანია, რაც თავისუფალი დრო საკმაოდ მომეპოვება და შემიძლია საზოგადოებრივ მოვლენებს ოდნავ მაინც თვალყური ვადევნო, იგინი ჩემი გონების შესაფერისად დავაფასო და შესაფერი დასკვნები გავაკეთო.

და ეს დასკვნები მიკარნახებენ დღეს, მოღალატურად ჩავთვალო სოციალ-დემოკრატიული, მარქსისტული მოძღვრება, არა თუ ეკონომიურად ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, არამედ ეკონომიურად დაწინაურებულ ქვეყნებშიც კი. მოძღვრება კლასთა ბრძოლისა ერთი და იმავე ერის მოქალაქეთა შორის სამკვდრო სასიცოცხლო ომის გაჩაღებისა, მოძღვრება ინტერნაციონალური სოციალიზმისა და სხვა, — ყოველივე ეს მახვილს სცემს ეროვნულ განვითარებას, თვით ეროვნულ არსებობას!

ეს არის მსოფლიო სენი, რომლისაგანაც კაცობრიობა უნდა განიკურნოს!

ამ ჟამად მე ვარ უპარტიო, რამდენადაც მე არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ ვეკუთვნი. მიუხედავად ამისა მე მაინც მაქვს გარკვეული ზოგადი შეხედულება საქართველოში მომავალ პოლიტიკურ საქმიანობაზედ. ჩემის ღრმა რწმენით საქართველო არ საჭიროებს არა თუ სოციალისტურ პარტიებს, არამედ არც დემოკრატიულ პარტიებს, რამდენადაც ეს უკანასკნელნი მატარებელნი იქმნებიან ძველი ლიბერალური პრინციპებისა და ტრადიციებისა. ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა მოითხოვს ეროვნული მთლიანობის საჭიროების შეგნებას. ამით შეიძლება მხოლოდ იმ ჭრილობათა გამომრთელება, რომელნიც საქართველოს მიაყენა მესამე დასმა, სოციალ-დემოკრატიამ, ოცმეტი წლის განმავლობაში. ჩვენი ერი თუმცა უკვე დამდგარია განკურნების გზაზედ, მაგრამ სამწუხაროდ, კიდევ ხანგრძლივი თავგამოდებითი მუშაობაა საჭირო, სანამ ეს ჭრილობები სავსებით შეიხორცებიან. და ყოველი უნდა მამულიშვილის სულიერი და ფიზიკური ძალღონე აქეთკენ იქმნეს მიმართული.

მევ ვივლი და მივიტან ეროვნულ საკურთხეველზედ ჩემს პატარა წვლილს იმ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ერთად, რომელიც საქართველოს ეკონომიური, კულტურული და სახელმწიფოებრივი აღორძინების პოლიტიკას ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობაზედ და ეროვნულ თავისებურებაზედ ააგებს.

კირილე ვეკუა.

---

## მოწოდება ქართველ მამულიშვილებისადმი

ხანმოკლე გამოდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, რათგან მას თავითგანვე დაჰყვა მენშევიკური დიქტატურის სენი. უკუღმართმა ბედმა საქართველოს სათავეში სწორედ ის პარტია მოაქცია, რომელიც თვით ავტონომიის იდეასაც კი ოცდაათი წლის განმავლობაში გააფთრებული ებრძოდა.

26 მაისს 1918 წ., ამ უდიდეს ისტორიულ დღეს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტი ბოდიშის მოხდით იწყებოდა.

ასეთ პირობებში აღმდგარ საქართველოს არსებობას საერთაშორისო პირობები უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე მენშევიკური მთავრობის პოლიტიკური უნარი.

საქართველოს არა-მარქსისტული ინტელიგენცია, ეფულება აზდილი თავად-აზნაურობა და მამაცი ოფიცრობა, უღრმესი პატრიოტული გრძნობით აღვსილნი, მზად იყვნენ დაევიწყათ მენშევიკების წარსული მუხანათობა და სამშობლოს ასაყვავებლად ემუშავნათ. მენშევიკური მთავრობა კი, ვლადიმირ - ლოკოლოვ შრეიდერ გოლდმანებით გარშემორტყმული, სწორედ ამ ეროვნულ ძალებს უყურებდა მტრულად, და თუ ზოგიერთ მათგანს შეზღუდული მუშაობის საშუალება მისცა, ეს მხოლოდ იმავე მოსაზრებით ხდებოდა, როგორც ბოლშევიკები «სპეცებს» ამუშავებენ.

საქართველოს პარლამენტის შენობაზედ თითქმის სამი წელიწადი ფრიალებდა მარქსიზმის წითელი დროშა, და სახალხო გვარდია — ეს ნარამ-აუშტროვების რაზმი — ქართული ჯარის შედგენას უშლიდა ხელს. ქართველ მეღმართა ისტორიული სიმამაცის აღდგენისა ეშინოდათ, ვინაიდგან მათ ნამდვილად არ სწამდათ საქართველოს დამოუკიდებლობა.

მენშევიკებმა საქართველოში მით დაასრულეს თავიანთი მოღვაწეობა, რომ ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი სამშობლო მიატოვეს და უცხოეთს შეაფარეს თავი. მაგრამ აქაც თავის თავი მთავრობად გამოაცხადეს. მიუხედავად ამისა მთელი ემიგრაცია, განურჩევლად მიმართულებისა, მზად იყო მათთვის მხარი დაეჭირა.

ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვიყავით, რომ საქართველოს თავზედ დატეხილი უბედურება მათ ჩააფიქრებდა და ახლა მაინც შეეცდებოდენ ძველ შეცდომათა ნაწილობრივ გასწორებას, უცხოეთში ეროვნულ ნიადაგზედ მოღვაწეობით მაინც.

სამწუხაროდ ამაშიაც ძლიერ მოვტყუვდით; ემიგრაციაში გაცილებით უფრო მტკიცე მარქსისტობა გამოიჩინეს. თუ საქართველოში თვით სახელმწიფო ცხოვრების ლოღიკა მათ ხშირად აიძულებდა მარქსის მოძღვრებისათვის ხან და ხან მაინც ეღალატნათ, აქ, უცხოეთში ეს აღარ სჭირდებოდათ. სწრაფლ აღსდგა სოციალ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტი და დაიწყეს მეორე ინტერნაციონალში სიარული.

საქართველოთგან წამოღებული ქონება ჩვენ «მთავრობას» ყოველივე საშუალებას აძლევდა ღირსეულად დაეცვა ჩვენი ქვეყნის ინტერესები. ამისათვის კი საჭირო იყო შემოკრება ემიგრაციის ეროვნულ ძალთა.

ამის მაგიერ შექმნეს ეგრედწოდებული «გაერთიანებული ფრონტი» და ამ «ფრონტში» თავისი კაცები შეიყვანეს;

საქართველოს დამოუკიდებლობამ ზედმეტად გახადა «სოციალისტ-ფედერალისტთა» პარტიის არსებობა, და სწორედ ამ პარტიის უცხოეთში მყოფი მეთაური გახდენ მენშევიკური მთავრობის ერთგულეს კარის კაცებად.

ეროვნულ დემოკრატიული პარტია იმ შემადგენლობით, როგორც იგი უცხოეთში მოხვდა, არ იყო ამ მთავრობისათვის მისაღები და აი, აქაც ჩვეულებრივ ხერხს მიმართა მან და მათგანაც კარის-კაცები გაიჩინა.

ევროპის დიდ ქალაქებში, როგორც ლონდონში, ვარშავაში და პრაღაში (აქ უცხოელი) მარქსისტები დანიშნეს ახალ ელჩებად; პარიზში და ბერლინში ძველი ელჩები დასტოვეს, როგორც მათი პარტიის კაცები, მაგრამ ბ-ნ ვლ. ახმეტელი ბერლინში მყისვე გადააყენეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან, როგორც ელჩმა, საზოგადო ეროვნული ინტერესი პარტიის ინტერესზედ მაღლა დააყენა.

პირველ ხანებში მხადაც იყვნენ ზოგიერთ შემთხვევაში ევროპის «ბურჟუაზიულ და რეაქციონურ» წრეებში სამუშაოდ არა-მარქსისტებიც «გამოეყენებიათ», მაგრამ მალე ამასაც დაანებეს თავი.

დაბეჭდეს წიგნაკები რუსულ და სხვა უცხო ენებზედ პარტიის მთავარი კომიტეტის სახელით, სადაც თავს იმართლებდენ მეორე ინტერნაციონალთან, თუ რისთვის «ებრძოდენ» ბოლშევიკებს.

როდესაც უცხოეთში ასეთი წესით გამოხმაურება ვერ ჰპოვეს, მაშინ მაკედონურ «ჩეტნიკების» ზომას მიმართეს და ქართველი ხალხი 1924 წ. აჯანყებით ბოლშევიკებს ზვარაკად შესწირეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთა ლიგისათვის დაემტკიცებიათ — ქართველი ხალხი მარტო ჩვენ გვემორჩილებაო.

როდესაც ასეთმა საშინელმა სისხლის ღვრამ ვეღარ დაუბრუნა მათ ძალა-უფლება, მაშინ აჯანყების მოწყობის თაოსნობა «მემარჯვენე» პარტიებს დააბრალეს. ამას თან ისიც მოჰყვა, რომ მათ შორის ერთად-ერთი პატიოსანი ადამიანი, კარლო ჩხეიძე, მისივე ხელით სიცოცხლეს გამოესალმა. ირაკლი წერეთელი და მისი ჯგუფი ჟორდანია რამიშვილს გამოეყო და მენშევიკთა რიგებიც დაირღვა.

სექტანტური ჟინით შეპყრობილნი აქაც არ შეჩერდენ; ჟორდანია და განსვენებული ნოე რამიშვილი გაფთრებული დაეტაკენ ქართველ პატრიოტებს. საუკეთესო მამულიშვილნი მოღალატეებად იქმნენ გამოცხადებულნი და ქართველი ერის წინაშე დაბეზღებული. ამან სრულიად არია ემიგრაცია და მტრულ ბანაკებად დაჰყო. ყოველივე იმედი საქმის გამოსწორებისა დაიკარგა. აბა რას დაზოგავდენ იგინი არა-მარქსისტებს, როდესაც თავიანთივე ამხანაგი, ცნობილი მარქსისტი ირაკლი წერეთელი ყალბი ინფორმაციით გადააყენეს მეორე ინტერნაციონალში დელეგატობითგან. თავიანთ პარტიულ გაზეთს წააწერეს: «პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით», — ეს ის მოძახილი, რომლითაც ბოლშევიკები აგერ ცამეტი წელია ანადგურებენ საქართველოს!

რამიშვილის მოკვლის შემდეგ კიდევ უფრო გაამწვავეს მათ მდგომარეობა და ეს ბრძოლა მეზობელ ერთა ემიგრაციებშიაც გადაიტანეს. ადერბეიჯანელთა მოწინავე წრესაც ჩააგონეს, რომ «გამდგარ მემარჯვენე ქართველთა წრე» შოვინისტია, ირრედენტას წარმოება უნდათ, და მათ, როგორც ოსმალებისა და თქვენს მტრებს ისე უყურეთო. მსგავსავე მუშაობას სომხებთანაც აწარმოებენ.

ყველა ამ სიბინძურეს ახლა ისიც მიემატა, რომ ალექსანდრე ასათიანი, იმ წიგნის ავტორი, სადაც მენშევიკები ავაზაკებად არიან გამოყვანილნი, ჟორდანიამ მოკავშირედ გაიხადა, და ასათიანის ახალი მეგობარი, ქართველთა წრეებში კარგად ცნობილი კრიმინალი და ჯაშუში გუგული გამყრელიძე მოწმედ დაიყენა, რომ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ ებრძოლოს.

რა გასაკვირველია, რომ ისეთმა ბრძოლამ არამც თუ საქართველოს საკითხს ავნო, არამედ სრულიად თავი მოგვჭრა უცხოეთში. და ეს ჩვენი შერცხვენა მით დაგვირგვინდა, რომ ჟორდანიას «მთავრობა» საერთაშორისო ქართველ ქორწინების ავანტიურისტებს, კუდა-აზნაურებს თავადობის ყალბ სიგელებს უბოძებს, გვრწამს — არა უსასყიდლოდ.

ამ ჟამად ემიგრაციის ის ნაწილიც კი შეუძლებლად სცნობს გაჩუმდეს, რომელიც ამ ბრძოლის დროს განზედ იდგა, და მიუხედავად თვისი უკმაყოფილებისა, ჟორდანიას ნამუსს უნახავდა.

აღშფოთება საერთოა, მით უმეტეს, რომ ბოლშევიკური ბარბაროსული სისტემის აღსასრულის დრო მოახლოვდა და ემიგრაციას თავისი მთავარი მოვალეობა — ევროპის საზოგადო აზრის მომზადება — ოდნავადაც არ შეუსრულებია.

ცამეტი წლის ლოდინის შემდეგ ძნელია იმაზედ ფიქრი, რომ ჟორდანია და მისი უპასუხისმგებლო დამხმარენი შეიცვლებიან. თვით საფრანგეთის მთავრობის მიერ ჩვენი საელჩოს გაუქმებამაც ვერ მოიყვანა ისინი ჭკუაზედ.

ამიტომ ჩვენ ვიღებთ ჩვენ თავზედ მოვალეობას, ასეთ მძიმე პირობებში შევეცადოთ შემოვიკრიბოთ ემიგრაციის საღი ნაწილი, — ის ნაწილი, რომელიც წმინდა ეროვნულ ნიადაგზედ სდგას და სრულიად მოშორებული მარქსისტულ მიმდინარეობას. ოპოზიციას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. შეუძლებელია, ერთი და იმავე პირი გულწრფელი პატრიოტიც იყოს და მარქსისტიც, ვინაიდგან ეს უკანასკნელი ერს, როგორც მის [illegible] საერთაშორისო იდეალთა განხორციელების საცდელ მასალას, ისე უყურებს.

ჟორდანიას და მის შტაბს ოპოზიციაში ბევრი ემიგრანტი მარქსისტი უდგია და მას მარქსის ერთგულებაში კიდევაც ეცილება. ასეთებთან შეერთება ჩვენთვის მიუღებელია, რადგან ეს ვერ მოგვცემს ეროვნულ მთლიანობას. ისეთი ქართველებისათვის კი, რომელნიც ამ სენისაგან განიკურნენ, ჩვენი წრის კარები ღია იქნება. ამით ბოლო მოეღება იმ ოპოზიციას, რომელიც აფერხებს საერთო მტერთან ბრძოლას.

ის აზრი, ვითომ ჟორდანიასთან და სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლა ქართველ ხალხში უსიამოვნებას იწვევდეს, თვით სოციალ-დემოკრატების მოგონილია.

ქართველი ხალხი ცამეტი წლის ტანჯვის შემდეგ სამუდამოდ განიკურნა მარქსიზმის ცოდვისაგან. მან შეიგნო, რომ ბოლშევიკები და მენშევიკები — ეს ერთი მოძღვრების შვილებია და რომ მხოლოდ ბოლშევიკების მიერ საქართველოს ადრე დაპყრობამ გადაარჩინა ჩვენი მენშევიკები სრულ გაკოტრებას!

ჩვენი მიზანი არ არის პარტიათა კოალიციის შედგენა ეს უკვე ნაცადი გზაა და მხოლოდ მუშაობას გააძნელებს. ჩვენ გვსურს ყველა იმ ქართველთა გაერთიანება, ვინც მეორე და მესამე ინტერნაციონალის მრევლს არ შეადგენს.

ახალი ქართველების ყრილობამ უნდა აირჩიოს ერთი ორგანო, რომელიც ქართველ ემიგრაციას პოლიტიკურად გაუძღვება, საქართველოს საკითხს ჯეროვნად გააცნობს ევროპას, და როდესაც განთავისუფლების ჟამი დადგება, აღასრულებს იმ საქმეს, რომელიც ჩვენს ეროვნულ ემიგრაციას ვალად აწევს.

მოგმართავთ თქვენ, ჩვენ დაწყებულ საქმეს, შემოუერთდით და ჩვენთან ერთად გამოვძებნოთ გამოსავალი გზა დღევანდელი მძიმე მდგომარეობიდგან.

ბერლინში 10 ივნისს 1933 წ. დაარსდა «ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია გერმანიაში», რომელიც აქ ქვემოდ აღნიშნულ მიზნებს ემსახურება.

ამასთანავე გაახლევთ ჩვენი პირველი კრების რეზოლიუციას და მოგიწოდებთ, თქვენც მსგავსი ორგანიზაციები დაარსოთ, რომელთაგანაც უნდა შეიქმნას ახალი ეროვნული ცენტრი.

მოქმედი კომიტეტი: ტ. მარგველაშვილი
მ. წერეთელი
ა. მეტრეველი
სარევიზიო კომისია: დ. ღამბაშიძე
პ. ვეკუა

## კრების რეზოლიუცია

ჩვენი ნაციონალური ემიგრაცია განიცდის აღელვებას ძმათა იმ არასასიხარულო შეხლა-შემოხლის გამო, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს სიმწვავის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია.

ასეთი მდგომარეობა ავალებს სამშობლოს გარედ მყოფ ყველა ქართველ მოქალაქე-მამულიშვილს ამ მოვლენას სასტიკად შეებრძოლოს.

ერთ დროს არჩეულმა მთავრობამ, რომელსაც ევალებოდა გამოძევების დროს ეწარმოებინა მამულიშვილური მუშაობა ჩვენი ეროვნული საწადელის მისაღწევად, და ამ იდეის გარშემო, განურჩევლად მიმდინარეობისა და მიმართულებისა, შეეკრიბა ყოველი ცხოველმყოფელი ძალები და ერთი სახით წამდგარიყო ყველგან, სადაც ჯერ არს, — მან, უმაღლესმა ორგანომ, პირიქით, აწარმოვა ძმათა განხეთქილების პოლიტიკა.

ამ 12-13 წ. განმავლობაში ასეთ უკუღმართ პოლიტიკის წარმოებამ მთელს ემიგრაციაში დაუკარგა ყოველგვარი ზნეობრივი ავტორიტეტი ვითომდა ხელმძღვანელ ორგანოს და გახადა ვიწრო ჯგუფურ მეხედულების გამომხატველად. მთავარი საკითხი ჩვენი ეროვნული საქმიანობისა ამით დაზიანდა. წინ წარმოსდგა კვლავ ძველი პარტიული შუღლი და კინკლაობა.

რაც შეეხება წინანდელ მთავრობას და მასთან ხელოვნურად მიკოწიწებულ ორგანოების მოქმედებას, ჩვენი სინიდისის მიხედვით და მამულიშვილური გრძნობის მოთხოვნილებით ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ჩვენ არავითარ პასუხისმგებლობას მის მოქმედების შესახებ არ ვკისრულობთ და სრულ უნდობლობას ვუცხადებთ მას. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ იკადრეს და საიდუმლოდ გაგზავნეს ჩვენ ტანჯულ ქვეყანაში ცნობილი სამარცხვინო წერილები, რომელშიაც არ მოერიდენ ცილისწამებას და სიყალბეს, ძმათა შორის უფრო გაჩაღდა მომაკვდინებელი შუღლი; ძმათა სისხლიც კი დაიღვარა. გულის ტკივილით შევყურებდით ჩვენ ჩვენი ერის შეუფერებელ სურათს. გვეგონა, ჩვენი ეგრედწოდებული ხელმძღვანელი წრე ბოლოს და ბოლოს მაინც ყოველსავე ღონეს იღონებდა განექარწყლებინა დათესილი უნდობლობა, და სიმრუდის გამოსწორებას შეუდგებოდა, მაგრამ მან, პირიქით, თავისი ჩადენილი შეცდომები ცოდვებად გადაარჩია და ნორჩ ახალგაზრდა თაობაშიაც კი შეიტანა დემორალიზაცია; ამით დააგვირგვინა თავისი სამარცხვინო მუშაობა.

აი, სწორედ ეს მდგომარეობა, უკუღმართ ბრძოლის გამო უცხოეთში დაღვრილი მოძმეთა სისხლი, გვაიძულებს გავემიჯნოთ ამ პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებულ წრეს და დაუყოვნებლივ შევუდგეთ მამულიშვილური მოვალეობის განმახორციელებელ საშუალებათა გამონახვას.

ამ მიზნით:

1) ვაარსებთ გერმანიაში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა პოლიტიკურ წრეს სახელწოდებით: «ორგანიზაცია ქართველ ნაციონალისტთა ბერლინში», რომელიც განსაკუთრებული პოლიტიკური ბიუროს (მოქმედი კომიტეტის) საშუალებით გაუძღვება აქაური ემიგრაციის საქმეებს აქ შექმნილი პოლიტიკური პირობების მიხედვით.

2) ვირჩევთ სპეციალურ კომისიას, რომელიც მოიწვევს ქართველ ემიგრანტთა საყოველთაო კონფერენციას, სხვა პოლიტიკურ წრეთა ახალი ეროვნული ცენტრის შესაქმნელად.

ბერლინი, 10 ივნისი 1933 წ.

ხელს-აწერენ: ვლ. ახმეტელი, მიხეილ წერეთელი, გ. ხოშტარია, დ. ღამბაშიძე, ა. მეტრეველი, ი. ნაკაშიძე, ა. ალხაზი, ა. ალანია, გ. ალანია, შ. ქაოუმიძე, რ. ჯაში, ა. ნიკურაძე, ი. წერეთელი, . კაუხჩიშვილი, პ. ვეკუა, ც. სალთიერაშვილი, რ. მკურნალი, ტ. მარგველაშვილი, გ. მეტრეველი, ა. მეტრეველი და სხვა.

კომიტეტის მისამართი:
Herrn Dr T. V. Margvelachvili. — Berlin = Wilmersdorf,
Güntzelstrasse 24/25 III m. gh. = Allemagne.

## ბიბლიოგრაფია

### «მხედარი»

დიდის მოწიწებით გადავიკითხე ბ. ღენ. ჩხეიძის მოგონებანი სამხედრო სკოლის ისტორიის შესახებ. ვკითხულობდი და თანაც ვღონდებოდი, რომ ასე უბრალოდ დავკარგეთ ჩვენი ტურფა სამშობლო, ხოლო მეორე მხრით სიხარულის ცრემლებით გულს ვინამავდი, როცა მესმოდა, რომ ქართველ ახალგაზრდობაში, ამ ეროვნულად ფრიად დაცემისა და გადაგვარების ხანებშიც, ასე ძალუმად იფეთქა მამულიშვილურმა გრძნობამ და ქართული ტრადიციული სიმხნევით აღასრულა მან მისი წმიდა მოვალეობა.

ემიგრაციის სიძნელეთაგან დაჩრდილული გული ამ მოგონების წაკითხვამ ოდნავ გამინათა. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ამბავი ეხება ჩვენი ეროვნული ცხოვრების უახლოეს და უმნიშვნელოვანეს დრამას. მე მაშინვე ვიგრძენ რომ ბ. ჩხეიძის ამ გაბედულ და ღირსეულ ნაბიჯს მოჰყვებოდა სხვებიც და ჩვენ, ის ახალგაზრდობა, რომელთაც ბედმა არ გვარგუნა ტფილისის ციხე-კედლებთან დავხოცილიყავით, მაშინ როდესაც სწყდებოდა საქართველოს ბედი, ახლა მაინც გავეცნობით ავსა და კარგს ამ მწარე წარსულის შესახებ. მე ჩემს თავს ნებას არ მივცემ აკადემიურ დაფასებაში შევიდე ან აღნიშნული მოგონებების, ან მსგავს რამის, ხოლო ერთს კი ვიტყვი, ბ. ღენერალს უფრო ვრცლად შეეძლო მისი დაწერა დაძეტის თქმა. მაგრამ ვიმედოვნებთ ამას სხვები შეავსებენ.

ჩვენი იმედი გამართლდა. გამოვიდა „მხედრის“ მე-14-15-ე ოვეული, გადავიკითხე გულდასმით და დავრწმუნდი, რომ ქართველ მხედრობაში უკვე ყალიბდება ის ტრადიციული სული, რაც საუკუნეთა განმავლობაში იცავდა ერის თვით არსებობას. აურაცხელი წერილები, ყველა ერთი მეორეზედ უმჯობესი; ყველა დიდის ცოდნით, დაკვირვებითა და სიყვარულით დაწერილი; ხოლო რაც მთავარია, ყოვლი წერილის ყოველი სტრიქონი სამშობლოსადმი სიყვარულის უმაღლესი გრძნობით, და მისადმი გულწრფელი სამსახურის სურვილით არის განმსჭვალული.

ცალკაკე აღსანიშნავია: ბ. ღენ. ლეო კერესელიძის გეგმა, რომელიც წარმოადგენს მინაარსს იმ აუცილებელ საკითხთა, რომლის მეცნიერული შესწავლა აუცილებელია მომავალი ქართული სამხედრო საქმის რაციონალური ორგანიზაციისათვის. — თუ „მხედარი“ ამას განახორციელებს, ამით ის ერთხელ და სამუდამოდ საფუძველს ჩაუყრის სამხედრო მეცნიერებას ჩვენში და ეს კი ერის წინაშე დიდი დამსახურებაა.

არა ნაკლებ საინტერესოა იმავე ღენ. კერესელიძის წერილი „ჯარისკაცთა ინდივიდუალური წვრთნის შესახებ.“ ამ საკითხებით კაი ხანია რაც ავტორი გამოვიდა ევროპის პრესაში და ის ყველგან დადებითად შეაფასეს. ორიგინალური აზროვნების ნიმუშებიც უთუოდ ასწევს „მხედრის“ ღირებულებას.

ყველაზედ საინტერესო არის ამ ნომერში ლეიტ. მათიკაშვილის მოგონებანი 1921 წლის ომის შესახებ, ის როგორც პირველი ცდა, ფრიად დასაფასებულია. ამით ბევრ სიბნელეს აეხადა ფარდა. რაც აქამდეს ჩვენი ახალგაზრდობისათვის კიდევ დაფარული იყო. აქამდის ჩვენმა უფროსებმა ხმა არ ამოიღეს ახალგაზრდობამ ეს ამხილა, ამის შემდეგ კი, იმედი გვაქვს, ვეღარავინ გაჩუმდება და საბოლოო ნათელი მოეფინებინა იმ საქმეს, რომელსაც აქამდე მრავალი გაოცებული შესცქეროდა. ასევე ძვირფას ცნობებს იძლევიან ბ. ცაგურიას და ბ. კვიტაშვილის წერილები. ყველაზედ დასაფასებელია მათში ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნები. სასტიკი კრიტიკული ქარცეცხლის გარეშე მართლაც შეუძლებელია სასურველი დასკვნების მიღება. და ბოლოს მეტად საინტერესოა. ბ. დ. ვაჩნაძის მოგონებანი 1922 წლის ხევსურეთის აჯანყებაზედ. ეს წერილი მომავალ თაობას დარჩება როგორც ერთი მრავალთა შორის, დოკუმენტად მრავალ სასიხარულო და მასთან სამწუხარო გრძნობათა აღმძვრელად. როცა პირველად ბ. ვაჩნაძისაგან მოვისმინე ეს ამბავი, მუსხელიშვილის მაგალითზედ, ჩემს ცნობიერებაში გადაიშალა მთელი ისტორია ქართველი ერისა დამე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ქართველ ერში საბოლოოდ დიდ მამულიშვილურ სულს ვერავითარი ძალა ვერ ჩააქრობს. ბოლშევიკების საშუალებითაც გამეგო ზოგი რამ ამ ამბავზედ, მაგრამ როცა მას უშუალო მონაწილე გიყვებათ, იმ გრძნობითა და კილოთი, როგორც ეს იმ წუთში ხდებოდა, აქვს სულ სხვა ფასი აქვს. ამისთვის, დრო არის, ჩვენი სახელოვანი ბრძოლების შესახებ ზოგი რამ მაინც დაიწეროს, რაც დღეს შესაძლებელია. ამ მხრივ, თუ ბ. ღენ. ჩხეიძის მოგონება პირველია 1921 წლის ომის შესახებ, ბ. დ. ვაჩნაძის მოგონებანი პირველია ჩვენი შემდეგი აჯანყების შესახებ. ბ. ვაჩნაძე იძლევა ცნობებს თითქოს მხოლოდ ერთი შემთხვევის შესახებ, მაგრამ მის და შეუმჩნევლად, არსებითად იძლევა ის 1922 წლის ხევსურეთის აჯანყებისა და დამარცხების მთავარ შინაარსს. ამისთვის კი ჩვენ გავბედავთ და ცოტა ვუსაყვედურებთ მისი მოგონების ბოლო ნაწილის გამო, სადაც ის კიდევ არ ამბობს ყველაფერს. ისიც მართალია, რომ დანარჩენს მკითხველი გაიგებს, მაგრამ მით უმეტეს, პირდაპირ თქმა სჯობს.

საერთოდ უნდა მივულოცოთ „მხედარს“ ასე დიდ ამოცანათა გადაწყვეტის სფეროში შესვლა და ღირსეული აღსრულება.

ძია.

— გამოვიდა ბ. ალ. მანველიშვილის წიგნი:

**ვეფხის ტყაოსანი**

**და**

**რუსთველის ზნეობრივი იდეოლოგია**

წიგნი დაწერილია ბ. ზ. ავალიშვილის წიგნის „ვეფხის ტყაოსნის საკითხების“ საპასუხოდ. იყიდება 10 ფრანკად. გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Mr J. Gakhokidzé. 18, rue Olier. Paris 15e,

Imp. G. Cavallier, 28, rue du Départ, Paris.
Le Gérant: Felix KALDENBACH.